



ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 11 თბილისი ივნისი 1965


საქმე

ბათუმის 42-ე წილი, შპსი 20 სპ.



ნ.ს. ბ. დომინიკა

საქმე



კარგად ააშენა პინას ააშენა?

რესტორანი „ამრა“ მხიარულების ზღვაში ცურავდა. შამპანურის ბოთლების ბათქი იქაურობას აყრუებდა. მეექვსე სამშენებლო ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს მშენებლები სასტუმრო „თბილისის“ სამუშაოთა დამთავრებას „ასველებდნენ“.

სადღეგრძელოები სწრაფად იცვლებოდა და იცლებოდა.

— მე მინდა შევსვა მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველების ლუშკოვას, კოტოვისა და სხვათა სადღეგრძელო, ვაშაა!

— გაუმარჯოთ სანტექნიკური სამუშაოების სულისჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს ჯიბლაძეს და ვაშას!

— არ შეიძლება უდღეგრძელებელი დავტოვოთ ელექტროგაყვანილობის სამუშაოების ხელმძღვანელები ევიაზაროვი და გაუში, ვაშააა!

— დაე, ჯანში ძალა, თავში აზრი, გულში სიყვარული ნუ მოშლოდეს სასტუმრო „თბილისის“ სამუშაოთა მწარმოებელს მიხეილ მიხელაშვილს, ვაშა, ვაშა, ვაშააა!

ორეობდნენ არსაკიძის ნაშეირნი და ჭერი ზანზარებდა. სასტუმრო „თბილისი“ კი იანვარში ჩამოსული დამსვენებელივით იდგა ზღვისპირას და ნაღვლიანად გაჰყურებდა სიცივისგან გათოშილ ზღვას.

სასტუმროს დირექტორმა ჩიქოვანმა მუდმივი კალამი დახურა, ჯიბეში ჩაიღო და კატეგორიულად განაცხადა:

— მიღების აქტზე ხელს არ მოაწერ!

— როგორ თუ ხელს არ მოაწერ, მშენებლობა ფრიადზეა შეფასებული.

— სასტუმრო მოუმზადებელია, ბევრი დეფექტი აქვს.

და მშენებლებმა დასდეს საზეიმო ფიცი:

— ვფიცავთ სინდისს, რომ ერთი წლის განმავლობაში აღვვაოთ პირისაგან მიწისა ყოველგვარი დეფექტი და წუნი, თუ ეს ფიცი დავარღვიეთ კრულ ვიყოთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!


მოლბა ჩიქოვანი, ირწმუნა ფიცი და მოაწერა ხელი. დრო მიდიოდა და სოხუმში მოდიოდნენ დამსვენებლები. სასტუმრო „თბილისი“ კარგაშლილი შეხვდა სტუმრებს. ყველა ნომერი სრული დატვირთვით ამუშავდა. ყველაფერი რიგზე იყო, ინთებოდა ელნათურები, აბაზანაში და ონკანში მოჩქეფდა ცივი და ცხელი წყალი, საათივით მუშაობდა საორთქლე ქვაბი, მაგრამ მარადიული ამ ქვეყნად არაფერია და ჯერ წყალი შეუდგა სასტუმროს, სარდაფები ზღვის ფილიალებს დაემსგავსა, შემდეგ ხანძარმა შეუნთო ცეცხლი (სარდაფში ჩამდგარი წყალი რომ არა, საქმე გართულდებოდა).

დაიწყო ხანძრის მიზეზის კვლევა და შედგა აქტი:

„ელექტროგაყვანილობის გასინჯვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხანძრის მიზეზი იყო ელექტროფარის უხარისხო მონტაჟი... რის შესახებ ჯერ კიდევ 1965 წლის 22 იანვარს შედგენილია აქტი, მაგრამ ზომები დღემდე არის მიუღია...“

თანდათან მოემატა სამუშაოები სასტუმროს დირექციას, იწერებოდა და იწერებოდა საჩივრები: წყლისა და ელექტროგაყვანილობა თანდათან ინგრევა, სარდაფები წყლით გაივსო, საორთქლე ქვაბი მთლიანად, კედლებში წყალი ჟონავს, არიქა, გვიშველეთ, მაგრამ არსაიდან ხმა, საჩივარი საჩივრად რჩებოდა, დაპირება დაპირებად.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ მშენებლები, სწრაფად დაერივნენ სასტუმროს, დაანგრეს კედლები, ამოგლიჯეს საკანალიზაციო მილები, დახსნეს ონკანები, დაკეტეს სასტუმროს ნომრების ნახევარი და ლანდებივით გაუჩინარდნენ.



ჩიქოვანმა ისევ აიღო კალამი და დაიწყო წერა: რას შერებთ, მშენებლებო, სად არის თქვენი ფიცი, სად არის თქვენი დაპირება. სახელმწიფო ორმაგად ზარალობს, ჯერ ერთი, სასტუმრო ნახევრად გაუქმებულია და, მეორეც, მეორედ არის ყველაფერი გასაკეთებელი.

ისევ გამოჩნდნენ მშენებლები, სწრაფად დაერივნენ საორთქლე ქვაბის მეურნეობას და ლანდებივით გაუჩინარდნენ.

სასტუმროს ადმინისტრაცია ახლა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ეაჯა.


მოვიდა კომისია, ახედ-დახედა სასტუმროს და ისეთი აქტი დაწერა, რომ ქვას გახეთქავდა.

დატრიალდნენ მეექვსე სამშენებლო ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს უფროსი ბ. ჩერქეზია და მისი თანმხლები პირები, ხან ერთ ობიექტს ეცნენ, ხან მეორეს და... სასტუმროს ნომრებში ისევ მოყონავს წყალი ჭერიდან, კედლები ისევ უსწორმასწოროდაა შელესილი, ცვივა და ცვივა საღებავები, კარ-ფანჯრებში ჭუჭურუტანებია. ახლა ცხელა და შემოსული ჰაერი ვენტილაციის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ ზამთარში? ეზოში ასფალტი პაპიროსის ქაღალდის სისქეზე დაგებული და კიდევ ხელმეორედ უნდა დაიგოს, რესტორნის ჭერი თანდათან ბუნებრივად ჩუქურთმდება გამონაჟონი წყლის წყალობით.


სასტუმროს ნომრების ნახევარი ისევ დაკეტილია. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, სასტუმრო მთლიანად დაიკეტება. ვინ ზღოს ზარალი, სამშენებლო ტრესტმა თუ პირადად მშენებლებმა? ახლა მხოლოდ ესაა საკითხავი. პასუხის გაცემამდე სოხუმში ჩამოსულ დამსვენებლებს პალმების ძირში მოუწევთ ღამის გათევა.

ბ. მებრეველი.

ნახ. ბ. ჭუმბურიძისა.



— დათიკოს მებრევერი ეს მძღოლი?
— არა, ხურდა დაუბრუნა.



— ცოტა ჩაბარა დაუბარი, ხომა ხელავ ბავშვი არ იძინავს!

ნიანგის ფიქსა

მოქალაქე ნ. შარიძემ ორჯონიკიძის რაიონიდან იტყობინებოდა, რომ რაიონული ცენტრიდან სოფელ ლედენამდე დამავალ ავტობუსში მგზავრებს ცუდად ემსახურებიანო.

როგორც პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა გვაცნობა, ამჯერად მგზავრთა მომსახურება გაუმჯობესებულია.

მოქალაქე ი. ნემსიწვერიძე გვწერდა, წულუკიძის აბანოს რემონტი ჭიანჭურდებაო.

პარტიის წულუკიძის რაიკომი გვატყობინებს, რომ რემონტი დამთავრდა და აბანო ამჟამად ექსპლოატაციაშია.

სოფელ პირველი სვირიდან მოქალაქე ნაზი სახაძე გვატყობინებდა კლუბად ეკლესიის უფარვის შენობა გამოყენებულიო.

როგორც მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს: სოფელ პირველ სვირში უკვე დაიწყო ახალი კლუბის მშენებლობა, თუმცა, როგორც მომჩივანი ხელახლა იტყობინება, საქმე ჭერობით წინ არ წაწეულა.

მოქალაქე კობრიძე იტყობინებოდა, ჭიანჭის კულტურის სახლი გადაუდებელ შეკეთებას მოითხოვსო. 1964 წლის აგვისტოში სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული რემონტი, კოლმეურნეობებისა და კულტურის სახლის ხელმძღვანელობის უუურადღებობის შედეგად, ჭერაც დაუმთავრებელია და ფსხტის შენობაც ავარიულ მდგომარეობაშიაო.

მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებლად დასახულია ღონისძიებები.

სოფელ სკრის ახალგაზრდები იწერებოდნენ, ფეხბურთის მოედანზე სკოლა ააშენეს და ჩვენ უმოედნოდ დავრჩითო.

მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ სტადიონი ამჟამად აშენებულია სხვა ადგილზე.

ფალიაშვილის ქ. № 41-ში მცხოვრები მოქ. ბაბტაძე იწერებოდა, იმავე ქუჩის იმავე ნომერში მოთავსებული № 27 საქალაქო ბიბლიოთეკის სათავსო ძალზე მცირეაო.


მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ახ. ჯაშმა გვაცნობა, რომ: „აღნიშნული ბიბლიოთეკის მიკრორაიონში თავისუფალი და შესაფერისი სათავსოს უქონლობის გამო აღმასკომს არა აქვს საშუალება ბიბლიოთეკისათვის სათავსოს გამოყოფისა.

ხსენებული ბიბლიოთეკის ფართის სიმცირე აღმასკომისათვის ცნობილია და ფართის გამართვის უფლებებისთანავე მიღებული იქნება ზომები ბიბლიოთეკისათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის სათანადო ფართის გამოყოფით“ (სტილი და პუნქტუაცია დაცულია).

უფრონად „ნიანგის“ 1964 წლის № 18-ში დაბეჭდილი იყო ღია ბარათი გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის ფინგანის მუშაკის საქო ვარდანაშვილის მისამართით.

გარდაბნის რაიონის პროკურორი, ახ. ნ. აბესაძე გვატყობინებს:

„დადგენილი იქნა, რომ ს. ვარდანაშვილი მუშაობდა რა გარდაბნის რაიონის საფინანსო განყოფილების ინსპექტორად, ევალეობდა შემოწმებისა დიდების სასოფლო საბჭოს მოღარე მონაგარიშის მელაშვილის საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ 1960-62 წლის მანძილზე, ს. ვარდანაშვილმა რვაჯერ შეამოწმა მელაშვილის საქმიანობა, ვერ გამოავლინა მელაშვილის მიერ თანხების ჩამოწრისა და უკან დაბრუნების ოპერაციებში დაშვებული უკანონობანი, რითაც ისარგებლა მელაშვილმა და დაიტაცა მოსახლეობაზე დასაბრუნებელი თანხებიდან დაახლოებით 8000 (ძველით) მანეთი, სამსახურებრივი მოვალეობის ზერედედ და დაუდევრად შესრულებისათვის ს. ვარდანაშვილი განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, რაც ჩავთვალეთ საქმარისად და არ იქნა იგი მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.



— მოგებით საჩივრის წიგნი!
— ჩვენი ღირებურობი წყალტუბოში ისვენებს და თან წაიღო წასაკითხად.

უიარაღო რაჯმელის ნაშბს მიღონ

„...პოდა, დავსეირნობ კინო „რუსთაველის“ წინ. არავინ არავის არ ურტყამს. პირიქით, ბიჭებს ძმურად გადაუხვევიათ ხელი გოგონებისთვის. ვხედავ, მოქანაობს ვიღაც. სახე აწითლებული აქვს — მკლავზე რომ არშია მიკეთია, იმფრად. რომ მოქანაობს, არაფერი, საქმე ისაა, მღერის. წარმოგიდგენიათ, მღერის! მე ჩავახველე და წითელარშიიანი მკლავი ზედ გაწითლებულ ცხვირთან მივუტახე:

- რას შვრები?!
- ვმღერი.
- ამას მეც ვხედავ. სახლში იმღერე?!
- ცოლი!
- სასადილოში იმღერე?!
- ოფიციატი!
- მაშინ, ტყეში იმღერე?!
- ტყის მეგობარი ვარ!

სისხლი ყელში მომაწვა. მეც წამოვწითლდი.

- ქუჩაში რომ მღერი, მე ნოლი ვარ, ხომ?!
- აბა, რა ვქნა?!
- სულ ნუ იმღერებ!
- მაშინ ვიღაცა უნდა გავლახო!
- აბა, იმღერე!..

მან სიმღერით განაგრძო გზა.

ნი კაფე „მეტროსთან“ მქოდა, ვხედავ, ორი კაცი დაობს. ჭერ მხოლოდ სიტყვებს ესვრიან ერთმანეთს. მკლავებს ვერ დაიკაპიწებენ — პალტოები აცვიით. გულმა რეჩხი მიყო. მოწიწებით ვეკითხები:

- რას შვრებით?!
- ვკამათობ!
- ჰე, ჰე... ესაა კამათი?!
- ჭერ სადა ხარ!
- ესე იგი, შეიძლება იჩხუბოთ კიდევ?!
- ალბათ.

ალბათ კი არა, ასპროცენტიანი ჩხუბი უჭირავთ ხელში! მილიციელის ჭაჭანება არაა. იარალი, რა თქმა უნდა, არა მაქვს.

ხელს მაინც ყასილად ვივლებ გვერდზე:

- ერთი წუთით!

უსიტყვოდ გამომყვენ. ფრთხილად მივიყვანე ჩემი უბნის საზღვრამდე, გადავადგმევიწუნე ნაბიჯი და:

- ახლა განაგრძეთ! — მოკლედ მოგუქერი.
- მათ ჩაისუნთქეს.
- მე ამოვისუნთქე.“

ჩაიწერა ჰარი ჰარაღი






ზოობარკში პირველად ჩინური... რომ ვნახეთ, გამოვიტყულებით, შეგვეშინდა. როგორ წარმოვიდგენდით, რომ ასეთი კეთილი ხართ და ხვენი შველა მარტო თქვენ შეგიძლიათ.

ამ წერილს 26-ე საბავშვო ბაღის 150 ბავშვი გწერთ, თუმცა ჯერ წერა არც კი გვისწავლია. ჩვენი საბავშვო ბაღი პეკინის ქ. № 47-ში მდებარეობს. ჩვენ და მობინადრეებს ერთი პატარა საერთო ეზო გვაქვს, მაგრამ ეზოში გასვლისას რა მოგახსენოთ! მობინადრეები ქვებს გვიშენენ, გვლანძღავენ, სათამაშოებს გვიმტვრევენ და გარეთ გამოსვლას არ გვანებებენ. ხანდახან არც ჩვენს აღმზრდელებს აკლებენ ხელს. მათი ბავშვები აივნიდან თანაგრძობით გვიყურებენ, მაგრამ აბა პატარები უწესო და გამოუსწორებელ მშობლებს რას შეასმენენ! ჯერ იყო და ეზოში გარაყები წამოჭიმეს, მერე აივნების მიშენება დაიწყეს.

ჩვენ კი, 150 ბავშვი, ვართ რამდენიმე ოთახში გამოკეტილი. ბევრჯერ ვიჩივლეთ, ბევრმა ყურნალ-გაზეთმაც გამოაქვეყნა ჩვენი გასაჭირი, ტელევიზიამაც მოგვიძღვნა ერთი გადაცემა, მაგრამ... კაციშვილმა ყურადღება არ მოგვაქცია.

საყვარელო ძია ნიანგო, ძალიან გთხოვთ, ჭკუაზე მოიყვანო ის ხალხი, ვისაც ჩვენი საქმე აბარია. იმ გულქვა აღამიანებმა თქვენც თუ არ დაგიჯერეს, კარგს იზამთ ჩაახრამუნოთ კიდევ. ჩვენი სამშობლოს მომავალი მოქალაქეები.

ნახ. ზ. ლომიძისა



უბნქსტო ხუმრობა



ნახ. მ. აბაშიძისა

— რა მოუვიდა?
— გუშინ შაპრიანი თაფლი დაუღებია

უჩანასწავნი სარუჯაკი

ერთ საღამოს, სამსახურიდან ახლადდარუნებულს, ცოლი ისე აღერსიანად შემხვდა, რომ ვიფიქრე: იქნებ ისე დამაწინაურეს, მე არაფერი მკითხეს-მეთქი.

- თუ იცი, ხვალ რა დღეა? — ნანატრი ხმით მკითხა ცოლიკომ.
- რაფა არ ვიცი, შე ქალო, შვიდ დღეში ერთი უქმე დღე მაქვს და იმას რა დამავიწყებს? დილაზე თორმეტ საათამდის არ გამადღობი.
- კრეტინი! — თქვა ჩემი მისამართით ჩემმა ოთხი წლის გოგონამ!
- რატომ ვარ, შვილო, კრეტინი? — დავინტერესდი მე.
- გოგონამ სხაპასუხით მითხრა, რომ ხვალ ჩემს მეუღლეს, დაბადების ოცდაათი და ჩემს ოჯახში საზოგადოებრივი საქმიანობის სუთი წლისთავი უსრულდება. ამ ორმხრივად დამრგვალებულ თარღს, უნივერსალს გარდა ვეღარსად გავექცეოდი.
- მეც ხომ მქონდა შარშან დაბადების დღე? — ვცადე თავის დაცვა
- მერე, ხომ იყიდა დედამ შუბა თავისთვის?
- ჰოდა, მეც ვიყიდე ხვალ ჩემთვის პაპიროსს და აღვნიშნავ დედაშენის დაბადების დღეს.
- არა გრცხვენია? როგორ ევამათები ბავშვს!
- მრცხვენია, მაგრამ სისხლი აღარა მაქვს, რომ ლოყები გამიწითლდეს.
- შარშან, ჩემი დაბადების დღეს, შუბა იყიდა ჩემმა მეუღლემ, რვა მარტს ორი პალტო, ცხრა მაისს ბერლინში ჩავიდა ტურისტული საგზურით, გამარჯვების დღის აღსანიშნავად. ოცდათორე ივნისს ომის გამოუცხადებლად დამესხა თავს და რვაასი მანეთი გამამრო პიანინოსათვის, რვა აგვისტოს, მშენებლის დღის აღსანიშნავად, წყნეთში დასასვენებელი სახლის საძირკველი ჩამაყრევინა, თოთხმეტ აგვისტოს კი ფიზკულტურელის დღეაო და ცხვირ-პირი გამიერთიანა. არ არსებობს წელიწადში დღე, რომ ჩემმა ცოლმა თავის სასარგებლოდ არ გამოიყენოს. დღეს რაღა ვუყიდო მას, ვალეში ვისრჩობი კაცი, ფიქრისაგან ისე გავხდი, მეზობელი სკოლის ანატომიის მასწავლებელი დამდევს, აღამიანის ჩონჩხი მინდა კაბინეტისთვისო.
- ...ჩემს ცოლს საჩუქრის მოლოდინში მთელი მეზობლები შეგვგროვებინა სახლში. ჩემს გამოჩენას მქუხარე ტაშით შესვდა ყველა. მუყაოს ყუთში საგანგებოდ ჩადებული საჩუქარი მაგიდაზე მოკრძალებით დავდე და გაკვეთილზე დავგინებულ მოწაფესავით კუთხეში გავჩერდი.
- ქმარი შენ უნდა დაიკვებნო, ელიკო, ჩემს ქმარს კალენდარი ვერ ვაყიდი-ნე სახლისათვის, რომ ბავშვების დაბადების დღე გაეახსენო.
- კაციც ის ყოფილა! — ვუპასუხე გულში მეზობლის ქალს.
- ხმის უმრავლესობით გადაწყდა, რომ საჩუქარი მე უნდა გამომიჩინა და სამარისებურ სიჩუმეში ყუის თავი ავხადე. შემდეგ პირილა ქალღმერთი საგანგებოდ გახვეული ნახევარფუთიანი ჩაქუჩი ამოვიღე და სახეიმო ვითარებაში გადავეცი სახტად დარჩენილ მეუღლეს.
- რა არის ეს, რად იყიდე აშხელა ჩაქუჩი?
- ჩამარტყი თავში და სამუდამოდ დამასვენე — ვუთხარი მე.

სუსიონი და აქალო

ახლა არავინ ვეგობოთ, ჩვენი გამოცდილება შევადრდი და „თბილისელი“ მოღვაწე — ლუისი — ელიას-მე ფიშმანი.

ჩამოვიდა ლუსიენი სასაბარეო ზრდ და განა-მარტო? ჩამოვიდა ამაღლა — ცოლი — ფიშმანი-ღამანტი ელვზე მოიშეს ასული და ასე ვთქვათ, ბიძაშვილი — ენა იაკობის ასული ლეობრივი.

ჩამოვიდა, მაგრამ როგორ ჩამოვიდა: დატვირთული, ხელდამწვენივლი. ჩამოიტანა იმპორტული საქონელი: ქაღალდი და კაცი ნაირ-ნაირი საცელები, ჯემბურები, წინდები, მაქსოვი კაბები, ტრიკოტინა პალტოები.

ჩამოვიდა და სასტუმრო „თბილისის“ № 532-ში დაიდო ბინა ცოლთან და ბიძაშვილთან ერთად. მართალია, ბიძაშვილს რატომაც პასპორტიც კი არ აღმოაჩნდა, მაგრამ „თბილისი“ აბა რისი „თბილისია“, თუ სასტუმროს სტუმრებს თბილად არ დახვდა. პირიქით, ხელგაშლილი შეეგება და სასტუმროს ნომერში მყიდველთა გროვი რიგაც დაუყენა.

მაღე ლუსიენმა უშველებელ ჩახოში ჩაალაგა „ფიფისი“ სპიჩონელი და ყოველგვარი აბტომი-დაბტომის გარეშე, ღინჯად და შეღმეფათაებლად მიადგა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის უმეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ლეონიძე ქ. № 43-ში.

ლუსიენის ბრწყინვალე ბიძის ბრწყინვალე გამოჩენა საქმარისა აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტის ლაბორატორიებს დაუყოვნებლივ შეეყვანათ მუშაობა და პარტიკულურ თანამშრომლები პარტიკულურ სტუმრებს ჩანთის დაცარიელებას შესდგომოდნენ.

ლუსიენი მაინც განაწყენდა: ეს რა ინსტიტუტი გქონიათ, რატომ ყველაფერი ერთბაშად არ იყიდეთო, გაბრუნდა სასტუმროში და განაგრძო ჩასაღება-გასაღებ ბისფრიად გასაგები ოპერაციის ჩატარება.

ჩვენც სწორედ მაშინ დავადექით ლუსიენსა და მის ამაღლას, როცა გაცხოველებულმა ვაქრობამ ზენიტს მიადგინა.

— რას ამბობთ, რას ამბობთ, განა მე, სპეკულანტი ვარ, ტურისტები ვახლავართ, ცოლი და ბიძაშვილი ჩამოვიყვანა თბილისქალაქის სასაბარეოდ, აქებენ და საკუთარი თვლით ნახვა გადაწყვიტეთ, — თვალდაუხამხამებლად ტყუის ლუსიენი. სჯავთა შორის, არცთუ ისე გავგებულეზია ამის დადგენა, რომ ლუსიენი და მისი ამაღლის წევრები არაერთხელ ყოფილან თბილისში და რომ ამ „ტურისტებს“ მშვენივრად იცნობენ თბილისელი დარღმანდები, რომლებსაც არაერთხელ უტარებიათ დრო მათთან ერთად თბილისის საგარეუბნო რესტორნებში.

ლუსიენების ამ გასტროლოტირ-სპეკულანტების დღეები დათვლილია, მაგრამ ერთი რამეა სამწუხარო და სავალდლო: სამეცნიერო ინსტიტუტისა და სასტუმროს თანამშრომლები ხელს რომ აშკარად უწყობდნენ სპეკულაციას.

ბ. აკოპაშვილი
მ. კვანტალიანი

ზანთაფონალი ბაყაყის ღია ბარათი

ქალსიონის ბაყაყებს

ძვირფასო ძმებო, „ნიანგმა“ საზარელი ამბავი მოგვითხროს. ადამიანებს დაურბევიათ და აუკლიათ თქვენი ადგილსამყოფელი. კიდევ მეტი. მთელი ქაობების დაშრობა განუზრახავთ და უსახლკაროდ გტოვებენ. ჩვენ, თქვენი აქაური თანამომხმეები, შეშფოთებულნი ვართ ამ ამბის გამო, მაგრამ კიდევ უფრო შეგვაწუხა იმან, რომ დაგიკარგავთ გადარჩენის იმედები და ბევრს თვითმკვლელობაც კი განუზრახავს.

მართალია ძნელია სამკვიდროდ აყრა, მაგრამ სიკვდილს მაინც ჯობია. თქვე კაი კაცებო, გადმოსახლდით ზესტაფონში და, თუ არ მოგეწონოთ, მერე მოიკალით თავი. თუ არა და, დარჩით ჩვენთან, ძმურად გავიყუთ საყავრია, წყალსადენის უბანი, რკინიგზის სანაპიროები, კულტურისა და დასვენების პარკი. თქვენისთანა ათასი ცხოვრობს აქ და ათი ათასი კიდევ დაეტევა, იმდენი გუბეა, თავს რაზე იკლავთ.

წერილს „ნიანგის“ ხელით გიგზავნით და ველით თქვენგან დადებით პასუხს.

თქვენი ერთგული ძმა შიყინა ბუბაღაძე.



— თქვენს რომანს გოლო აკლია.

— რა საჭიროა, ვინ კითხულობს ახლა რომანს გოლოგად.

ქარებულნი ნაკვსები

- მზარელს უსუფთაობაზე წაასწრეს და ისევ ხელის ტუჭყმა გადაარჩინა.
- გამყიდველი, მატერიის მოპარვას რომ იყო მიჩვეული, ლაპარაკშიც სულ „მოკლედ მოვჭრათო“ გაიძახოდა.
- მომღერალს მსმენელი არა ჰყავდა და თავს ინუგეშებდა: დარბაზი სულგანაბულიაო.
- ლუდის გამყიდველს ჰკითხეს: მთელი დღე ფეხზე რა გაჩერებსო და, რომ დავჯდე, ცოლ-შვილს ვინ შემიძახავსო.
- გირი ჩიოდა: ისეთი პატრონი ჯერ არ შემხვედრია, პატივი ეცეს, ყველა მე მამცირობსო.

შ. ზადრანიშვილი



გამომცემლობა „პროგრესმა“ (მოსკოვი) გამოუშვა ფოტოალბომი „თბილისი“. ასეთ შემთხვევაში საქირთა ითქვას: — გმადლობთ ყურადღებისათვის. მაგრამ ბოდიში, რა ამ სიტყვის პასუხია და „პროგრესის“ მესვეურებს და განსაკუთრებით „ფოტოგრაფიების წარწერების“ ავტორებს (ასლი დედანთან სწორია, იხ. გვ. 88) ცოდვების ჩამოსარცხად მხოლოდ ცხელი აბანო და ლაზათიანი მექისე თუ უშველით.

თურმე ნუ იტყვიოთ და, „თბილისი“ საქართველოს სს რესპუბლიკის, თხოუმეტი სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან ერთ-ერთი რესპუბლიკის, დედაქალაქია...“ (იფ. იფ რა ქართულია!..).

ამას გარდა, თბილისი „მდებარეობს მდინარე მტკვრის ორივე მხარეს 80 კილომეტრზე მეტ მანძილზე...“ (ასლი დედანთან სწორია).

რია ერთი შესწორებით, რუსულ და უცხოურ ტექსტში წერია, რომ იგივე თბილისი მდებარეობს მტკვრის ორივე მხარეს 20 კმ მეტ მანძილზე... (?!). რომელს დაუჯეროს მკითხველმა?.. საქითხავი აი ეს არის... (იხ. გვ. 1-2).


იმავე მეორე გვერდზე ფოტოს ქართულად აწერია: — ქალაქის ხედი მამა დავითის მთიდან. რუსულად ვკითხულობთ: «Вид на гору Мтацминда» შეცდომებია 8, 6, 7, 9, 12, 18, 22, 25, 28, 29 გვერდებზეც. არეულია წარწერები 30 და 31 გვერდებზე, ხოლო 32-ე გვერდზე სიტყვა — სახლი უკუღმაა დაბეჭდილი. წიგნის საფინალო 88 გვერდსაც ერგო მჭადის ნატეხი და წარწერების ავტორებმა შეცდომების დაშავირგვინებელი წერტილი სწორედ აქ დასვეს.

როგორც ხედავთ, გამომცემლობა „პროგრესი“ ბოლომდე ერთგული დარჩა თავის სახელწოდების და აქედან გამომდინარე, რომ შეცდომებიც პროგრესულად იზრდება ალბომში.

ვინ არის ალბომის რედაქტორი, ტექსტის ავტორი, მთარგმნელები, კორექტორი? — იკითხავს მკითხველი. ეს, ბატონო, ჩვენც გვანტერესებს, მაგრამ „პროგრესმა“, ეტუბოა, იფიქრა, პატარა სამუშაო ბიბლიოგრაფიასაც ხომ უნდა დარჩეთო და ყველას ვინაობა უჩინნაჩინის ქულში დამალა.

სკეპტიკოსები იტყვიან, შეუძლებელია ერთ პატარა წიგნში ამდენი შეცდომა იყოსო. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვთავაზობთ მკითხველებს შეიძინონ ფოტოალბომი „თბილისი“ და „დატკბნენ“ უპასუხისმგებლო მთარგმანის იშვიათი ნიმუშით.

ლ. ანთაძე
კ. ნანაძე



ნაბ. 3. ლოლუსანი


რედაქტორი ნ. დუმბაძე სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნაიანი, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, თ. ჭელიძე. საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 31/V-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1849. უე 03247 ტირაჟი 40000.

05 - 715

ინდექსი 76317



ნახ. ზ. შორაჩიძისა

დასავლეთგერმანული „ამერიკანა“